ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4457342

ნომერი: AR1672906

თარიღი : 05.04.2019

გაცემის თარიღი : 12.04.2019

გაცნობის თარიღი : 15.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყალსადენის , N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა მგალობლიშვილი პ/ნ 01024039909
- თბილისი ქობულეთის ქ. N 34-36 ბ. 19

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ევროტრეიდი კოდი: 404919987

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 05 აპრილის AR1672906 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ვრცელდება (საკადასტრო კოდი: N 01.11.04.028.012) ,რომელშიც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად;

იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

მოთხოვნის შინაარსის ტექსტში განმარტეთ რა სახის პროდუქტის დასაწყობება გაქვთ დაგეგმილი , ასევე აისახოს იგეგმება თუ არა არსებული შენობის დემონტაჟი.
-საპროექტო შენობის სავარაუდო კლასის დადგენის მიზნით მიეთითოს საპროექტო შენობის სავარაუდო გაბარიტები (მიეთითოს მისი მალის მაქსიმალური სიდიდე) და კ1-ისა და კ2-ის მონაცემები

....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : მოინიშნოს საპროექტო მიწის ნაკვეთის არეალი არეალი ;

ასევე ტერიტორიაზე ფიქსირდება კოლექტორი ჰდროგრაფიული შეზღუდვა მდინარის კოლექტორი (5.0X5.0) შესაბამისად ვინაიდან სამსახურისთვის უცნობია გასხვისების არეალი, დაგჭირდებათ აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა წარმოდგენილი სქემის გათვალისწინებით სავსარაუდო მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით , როგორც წერილობითი ფორმით ასევე შესაბამისი წესით დამოწმებული გრაფიკული მასალის თანდართვით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, რომლის განხილვის პასუხის შედეგი დამსახურის მიერ გეცნობებათ დამატებით

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 05 აპრილის AR1672906 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.